საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-126

10/03/2023

ქ. თბილისი

„შპს „კასლეთი 2“-ის მდ. კასლეთზე ჰიდროელექტროსადგურის (9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-970 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-10 ნაწილისა და „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობის შეცვლაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 თებერვლის N432 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,შპს „კასლეთი 2“-ის მდ. კასლეთზე ჰიდროელექტროსადგურის (9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-970 ბრძანებით გაცემულ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ამავე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 2015 წლის 4 ივნისის №26 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის II თავის (პირობები):

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შემარბილებელი ღონისძიებების გეგმების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, მე-7 პუნქტის გათვალისწინებით“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ყოველწლიურად უზრუნველყოს სამინისტროს თანამშრომლების თანდასწრებით, მდინარე კასლეთის კალმახის სუფთა გენეტიკური ხაზის 26 000

ცალი თვალის პიგმენტაციის სტადიაზე მყოფი ქვირითის ინკუბაცია მდინარის საუკეთესო სატოფო ადგილებში. რეკომენდებულია საველე ბუდეები განთავსდეს წყაროებით მდიდარ უბნებში/შენაკადებში. საქმიანობის განმახორციელებელმა აწარმოოს კალმახის ლიფსიტების მარაგის ამ მეთოდით შევსების ეფექტიანობის შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში დასახოს და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები“.

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,კასლეთი 2“-ს.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,კასლეთი 2“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში ბრძანება სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განათავსოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი